საქართველო
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
DMANISI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **108-108263041**
თარიღი: **31/10/2026**

ადრესატი: დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ პაატა ყულიაშვილს

მდინარე „მოშევანის“ სახელწოდების „ფინეზაურით“ აღდგენის ინიციატივის წარდგენის თაობაზე

ბატონო პაატა,

წარმოგიდგენთ დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული, ამჟამად საჯარო რეესტრის კარტოგრაფიულ მონაცემებში „მოშევანის“ სახელწოდებით ასახული მდინარისთვის ისტორიული სახელწოდების „ფინეზაური“ აღდგენის ინიციატივას და გთხოვთ, განიხილოთ საკითხი თანდართული ისტორიული, კარტოგრაფიული და სამეცნიერო მასალების საფუძველზე, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებითა და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

ინიციატივა მერიაში შემოვიდა დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის 2026 წლის 25 სექტემბრის წერილით, რომელსაც ხელს აწერს მთავარეპისკოპოსი ზენონი. ეპარქია ითხოვს მდინარის ისტორიული სახელწოდების ოფიციალურად აღდგენას და მას დმანისის ნაქალაქართან, ისტორიულ ხეობასა და ადგილობრივ მეხსიერებასთან აკავშირებს. წერილში მითითებულია სოფელ გუგუთისა და ხეობის მცხოვრებთა მხარდაჭერაც, რაც მოსახლეობასთან კონსულტაციისას დამატებით უნდა შესწავლილ და დოკუმენტირებულ იქნეს.

ინიციატივა შეეხება ლოქის მთის მხრიდან მომავალ და სოფელ პატარა დმანისთან, დმანისის ნაქალაქარის მიმდებარედ, მაშავერას მარჯვენა მხრიდან შემერთებელ მდინარეს. თანდართულ წყაროებში მდინარის იდენტიფიცირების ძირითადი ნიშნებია ლოქის მიმართულებით მდებარე სათავე, ფინეზაურის ხეობა და ნაქალაქართან, მაშავერასთან შესართავი.

მერიამ 2026 წლის 1 ოქტომბრის №108-1082627464 წერილით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსთხოვა სახელწოდების ასახვის საფუძვლების გადამოწმება. სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის 2026 წლის 29 ოქტომბრის №222466 პასუხის თანახმად, მის ფონდში დაცულ საბჭოთა პერიოდის ტოპოგრაფიულ რუკებზე მდინარე აღნიშნულია „მოშევანის“ სახელწოდებით, თუმცა ამ სახელწოდების სამართლებრივ საფუძველზე ინფორმაცია სააგენტოს არ გააჩნია. სააგენტომ თავის ფონდში ფინეზაურის შესახებ ინფორმაცია, აქტი ან დოკუმენტი ვერ მოიძია.

სააგენტოს განმარტებით, ინტერაქტიულ რუკასა და ეროვნული გეოპორტალის მდინარეთა ქსელის მონაცემებში სახელწოდების კორექტირება შესაძლებელი იქნება მისი დადგენის/ნორმალიზების შესახებ სამართლებრივი აქტის წარმოდგენისთანავე. შესაბამისად, საჭიროა ინიციატივის განხილვა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

სახელწოდება „ფინეზაურის“ ისტორიულ გამოყენებასა და კონკრეტულ მდინარესთან მის კავშირს ადასტურებს შემდეგი მასალები:

1. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა საქართველოისა“, წიგნი I, მოსე ჯანაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1892, გვ. 60–61: დმანისის სამხრეთით გამავალი მდინარე დასახელებულია ფინეზაურად, მისი ხევი კი — ლოქის მთიდან მომავალ ხევად. 1941 წლის გამოცემის („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ.

ლომურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) გვ. 38-ზე ამავე ცნობას მიუთითებს ჯიმშერ ჩხვიმიანის თანდართული მასალაც.

2. ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია“, საიუბილეო გამოცემა, თბილისი, „მეცნიერება“, 1997: გვ. 41–42-ზე მოხსენიებულია ფინეზაური და მისი ხევი; გვ. 245-ის კომენტარი №81 ნაქალაქარს ფინეზაურისა და მაშავერის ხერთვისში მდებარე კონცხზე აღწერს; გვ. 246-ის კომენტარი №83 და გვ. 353-ის საძიებელი იმავე ხევს მაშავერის მარჯვენა შენაკადთან აკავშირებს.

3. ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასი“ (XVIII საუკუნის რუკები), თბილისი, 1997, გვ. 86–87, და თბილისის მაზრის 1927 წლის ადმინისტრაციული რუკა: მათი ფრაგმენტები წარმოდგენილია არქეოლოგიის დოქტორის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის მმართველის, ჯიმშერ ჩხვიმიანის 2026 წლის 29 ოქტომბრის მასალაში „მდინარე ფინეზაური და ფინეზაურის ხევი“ და აჩვენებს სახელწოდების კარტოგრაფიულ გამოყენებას.

4. იასე ლორთქიფანიძის „ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში“, ნაწ. I–II, თბილისი, 1935, გვ. 56: ჯიმშერ ჩხვიმიანის მასალაში ამ წყაროზე დაყრდნობით მოცემულია ფინეზაურის ხეობის სოფლებისა და ნასოფლარების ჩამონათვალი, რაც ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ იდენტიფიკაციას ემსახურება.

5. გელა გამყრელიძის, დავით მინდორაშვილის, ზურაბ ბრაგვაძისა და მარინე კვაჭაძის „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 2013, სტატია „დმანისი“, გვ. 190 და 192: ნაქალაქარის მდებარეობა და ბუნებრივი დაცვა დაკავშირებულია მაშავერისა და ფინეზაურის შესართავსა და მათ ღრმა ხეობებთან.

6. „ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა — გამოფენის მეგზური“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, გვ. 56: სახელდებითაა მოხსენიებული ფინეზაურის ხეობა.

7. REC Caucasus-ის ანგარიში „საქართველოს საზღვრებში მდინარეების ხრამის, დებედას, ალაზნის და იორის აუზების სამიზნე ტერიტორიების ნიადაგების დეგრადაციის დინამიკის და ტენდენციის ანალიზი“, ოქტომბერი, 2009, გვ. 19, ნაწილი 2.1.5: ფინეზაური დასახელებულია მაშავერის შენაკადად. მისი მოხსენიების დამატებითი ელექტრონული წყაროები — ქართული ენციკლოპედია, კულტურული მემკვიდრეობის პორტალის ჩანაწერი №16463 და მუნიციპალიტეტის ოფიციალური აღწერა — ბმულებით მითითებულია თანდართულ კრებულში.

წარმოდგენილი წყაროები ურთიერთშეთანხმებულად აღწერს მდინარის სახელწოდებასა და მდებარეობას და ქმნის „ფინეზაურის“ აღდგენის ისტორიულ და სამეცნიერო დასაბუთებას. რეესტრის პასუხი შეფასებული უნდა იქნეს მის ფონდში დაცული მასალების ფარგლებში.

ამასთან, ვახუშტის 1997 წლის გამოცემის გვ. 246-ის კომენტარი №83 იმავე მდინარეს „მოშევნადაც“ განსაზღვრავს და ფინეზაურის ხევად მოხსენიებასაც აღნიშნავს. „მოშევანი“ შეტანილია საქართველოს მთავრობის 2025 წლის 6 მარტის №66 დადგენილებით დამტკიცებული „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტშიც. ეს გარემოებები ადასტურებს „მოშევანის“ გამოყენებასაც. წარმოდგენილი ინიციატივა ეფუძნება ისტორიული სახელწოდების აღდგენის მიზანშეწონილობას და საჭიროებს სათანადო სამართლებრივ გადაწყვეტილებას.

საკითხის სამართლებრივ საფუძველს ქმნის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი მდინარეს გეოგრაფიულ ობიექტს მიაკუთვნებს; „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები განსაზღვრავს სახელწოდების დადგენასა და ნორმალიზებას. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელწოდებების გამოვლენის, აღრიცხვისა და ნორმალიზებისთვის გამოიყენება კარტოგრაფიული და საცნობარო გამოცემები, ლექსიკონები, ენციკლოპედიური ლიტერატურა, წერილობითი ისტორიული და სხვა წყაროები. შესაბამისად, წემოთ წარმოდგენილი მასალები სწორედ კანონით გათვალისწინებული სახის მტკიცებულებებს წარმოადგენს.

ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სახელწოდების აღდგენის მიზანშეწონილობის შეფასებას ითვალისწინებს, როდესაც წარსულში საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება დროთა განმავლობაში მივიწყებული ან დაკარგულია. მოცემულ შემთხვევაში „ფინეზაური“ დაცულია ისტორიულ და სამეცნიერო წყაროებში, თუმცა სააგენტოს მიერ გამოყენებულ კარტოგრაფიულ მონაცემებში იგი არ არის ასახული. ისტორიული ტოპონიმის ოფიციალურ გამოყენებაში დაბრუნების საკითხი ამ გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. იგივე კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი კარტოგრაფიულ მასალებში ნორმალიზებული სახელწოდებების გამოყენებას მოითხოვს, ხოლო მე-11 მუხლი მათ რეგისტრაციასა და აღრიცხვას აწესრიგებს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ისტორიული სახელწოდების აღდგენის საფუძვლად განიხილავს ისტორიული ტოპონიმის აღდგენის შესაძლებლობას, როდესაც მას განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა გააჩნია. ამ მიზანს შეესაბამება დმანისის ნაქალაქარისა და მისი ხეობის ისტორიულ აღწერებში გამოყენებული სახელწოდების ოფიციალურ სივრცეში დაბრუნება. საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 სექტემბრის №440 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებიც, მათ შორის ინიციატივის საჯაროობისა და

მოსახლეობასთან კონსულტაციის პროცედურები.

„დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 ივლისის №34 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სახელდების ობიექტებს შორის პირდაპირ ასახელებს მდინარეს, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი სახელდებაში მოიაზრებს ძველი სახელწოდების აღდგენასაც. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის მქონე ტოპონიმის აღდგენას ითვალისწინებს. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შესაბამისი ინიციატივის საკრებულოში წარდგენის უფლებამოსილება აქვს მუნიციპალიტეტის მერს.

იგივე წესის მე-7 მუხლის მე-3–მე-8 პუნქტები ითვალისწინებს ინიციატივაზე საკრებულოს კომისიის დასაბუთებულ დასკვნასა და სამთავრობო კომისიასთან შეთანხმებას. „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი მუნიციპალიტეტის ორგანოებს აძლევს სამთავრობო კომისიისთვის წინადადების წარდგენის უფლებას; მე-5 პუნქტი ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში განლაგებული ობიექტების სახელდებას უკავშირებს წარმომადგენლობითი ორგანოს აქტსა და სამთავრობო კომისიის თანხმობას. კომისია შექმნილია მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №178 დადგენილებით.

მდინარის ორთოფოტოზე/რუკაზე ზუსტი მონიშვნა და ისტორიულ აღწერებთან თანამედროვე მონაცემების შეჯერება უნდა განხორციელდეს მერიის შესაბამისი სამსახურისა და საჯარო რეესტრის მონაწილეობით.

წარმოდგენილი ისტორიული და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, გთხოვთ:

1. ისტორიული სახელწოდების „ფინეზაური“ აღდგენის ინიციატივის შესწავლა დაევალოს საკრებულოს შესაბამის კომისიას, საჭიროების შემთხვევაში ეპარქიის წარმომადგენლის და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

2. საჭიროების შემთხვევაში მერიის შესაბამის სამსახურთან და საჯარო რეესტრთან ერთად დაზუსტდეს მდინარის საიდენტიფიკაციო მონაცემები და მომზადდეს მისი მონიშვნით ორთოფოტო/რუკა სამთავრობო კომისიისთვის წარსადგენად.

3. კომისიის დადებითი დასკვნა, ინიციატივა, წყაროები, საჯარო განხილვის შედეგები და აქტის პროექტი წარედგინოს სამთავრობო კომისიას შესათანხმებლად, საბოლოო აქტის მიღების კომპეტენციისა და ფორმის დაზუსტების საკითხთან ერთად.

4. შეთანხმების შემდეგ უფლებამოსილმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება სახელწოდების „ფინეზაური“ აღდგენის შესახებ. საკრებულოს კომპეტენციის დადასტურების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №34 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

5. მიღებული სამართლებრივი აქტი და მდინარის საიდენტიფიკაციო მასალა წარედგინოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ინტერაქტიულ რუკასა და ეროვნული გეოპორტალის მდინარეთა ქსელის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების შესატანად. ამასთან, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაციით გადაწყდეს მთავრობის 2025 წლის 6 მარტის №66 დადგენილებაში გამოყენებული მდინარის სახელწოდების მიღებულ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხიც.

გთხოვთ, ინიციატივის განხილვის შედეგებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ აცნობოთ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას.

დანართები

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 29 ოქტომბრის №222466 წერილი — 2 გვერდი.

2. მდინარე ფინეზაურის სახელწოდების წყაროებისა და ამონარიდების კრებული, ეპარქიის 2026 წლის 25 სექტემბრის წერილის ასლით — 13 გვერდი (ეპარქიის წერილი: კრებულის გვ. 12–13).

3. ჯიმშერ ჩხვიმიანის 2026 წლის 29 ოქტომბრის მასალა „მდინარე ფინეზაური და ფინეზაურის ხევი“, ისტორიული რუკების ასლებითა და ფრაგმენტებით — 4 გვერდი.

პატივისცემით,

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, დმანისი 1700, წმინდა ნინოს ქუჩა N41, ტელეფონი: (+995 360) 22 25 23
E-MAIL: DMANISI.MUN@DMANISI.GOV.GE WEB: DMANISI.GOV.GE 41, WEB: DMANISI.GOV.GE 41, TSMINDA NINO STREET, 1700 DMANISI TOWN, GEORGIA TEL. (+995 360) 22 25 23

მდინარე ფინეზაურის სახელწოდების წყაროები და ამონარიდები

გვერდობრივი მითითებები შედარებულია უშუალოდ ციფრულ ფაილებთან. პირველ სვეტში მითითებულია გამოცემაში დაბეჭდილი გვერდი, მეორე სვეტში - სრული PDF-ის გვერდი. დანართის გვერდები ეხება ამ 13-გვერდიან კრებულს.

№ და წყარო	გამოცემის გვ.	PDF-ის გვ.	დანართის გვ.
1. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საქართველოისა. წიგნი I. მოსე ჯანაშვილის გამოცემა. ტფილისი, 1892. წყაროს ბმული	60-61; სახელთა საძიებელი	138-139; 231 (საძიებელი)	3-5
2. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. საიუბილეო გამოცემა. თბილისი: მეცნიერება, 1997. წყაროს ბმული	41-42; 245-246; 353 (საძიებელი)	106-107; 310-311; 418	6-7
3. გელა გამყრელიძე, დავით მინდორაშვილი, ზურაბ ბრაგვაძე, მარინე კვაჭაძე. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2013. სტატია დმანისი. წყაროს ბმული	190; 192	191; 193	8-9
4. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გამოფენის მეგზური. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. წყაროს ბმული	56	58	10
5. REC Caucasus. საქართველოს საზღვრებში მდინარეების ხრამის, დებედას, ალაზნის და იორის აუზების სამიზნე ტერიტორიების ნიადაგების დეგრადაციის დინამიკის და ტენდენციის ანალიზი. საბოლოო ანგარიში. ოქტომბერი, 2009. წყაროს ბმული	19; ნაწილი 2.1.5	19	11
6. დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის წერილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერს. 25 სექტემბერი, 2026.	წერილის 1-2	1-2	12-13

1997 წლის გამოცემის ძირითადი ტექსტი და კომენტარები ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს: ვახუშტის ტექსტი ასახელებს ფინეზაურს; გვ. 246-ის კომენტარი №83 იმავე მდინარეს მოშევნადაც განსაზღვრავს და ფინეზაურის ხევად მოხსენიებასაც აღნიშნავს. ეს განმარტება არ არის სახელწოდების დადგენის ან შეცვლის სამართლებრივი აქტი.

2016 წლის გამოცემიდან დამოწმებულია გვ. 56-ის ტექსტში ფინეზაურის ხეობის მოხსენიება. 1923 წლის ისტორიულ რუკაზე მდინარის კონკრეტული წარწერა ამ მასალებში დამოუკიდებლად დადასტურებულ მტკიცებულებად არ არის გამოყენებული.

ელექტრონული წყაროები და სამართლებრივი საფუძვლები

ქვემოთ ჩამოთვლილ ელექტრონულ გვერდებს გვერდობრივი ნუმერაცია არ აქვს. მითითებულია სტატია, ჩანაწერი, ტექსტის მონაკვეთი ან სამართლებრივი ნორმა, რომლითაც შესაბამისი ინფორმაცია იძებნება.

7. ქართული ენციკლოპედია - დმანისის მუნიციპალიტეტი

ნაწილი ბუნება: ფინეზაური დასახელებულია მაშავერის შენაკადად.

https://georgianencyclopedia.ge/ka/form/26560

8. ქართული ენციკლოპედია - დმანისხევი

მაშავრის აუზის აღწერა და ფინეზაურის ხეობით ტაშირისკენ მიმავალი ისტორიული გზა.

https://georgianencyclopedia.ge/ka/form/2470

9. კულტურული მემკვიდრეობის პორტალი - დმანისის ნაქალაქარი

ჩანაწერი №16463: ნაქალაქარის მდებარეობის აღწერა, მაშავერისა და ფინეზაურის შესართავი.

https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=16463

10. დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი

ღირშესანიშნაობები: დმანისის ნაქალაქარი, მაშავერისა და ფინეზაურის შესართავი.

https://dmanisi.gov.ge/ka/attractions/

11. დევი ბერძენიშვილი - ვარძაგარა

ელექტრონული პუბლიკაცია: პირველი აბზაცი აღწერს ლოქიდან დმანისთან მაშავერაში შემავალ ფინეზაურს. ვებგვერდი უთითებს გამოცემას ნარკვევები, თბილისი, სამკალი, 2005; ბეჭდური გამოცემის გვერდი აქ არ დადასტურებულა.

https://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/varzagara.html

12. საქართველოს კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ

მუხლი 6, პუნქტი 1 - გამოსაყენებელი წყაროები; მუხლი 7, პუნქტი 3 - კარტოგრაფიულ მასალებში ნორმალიზებული სახელწოდებების გამოყენება.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/17302?publication=5

13. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 6 მარტის დადგენილება №66

მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე. დანართის მუხლი 5, პუნქტი 2: მოშევანი შეტანილია ხრამი-დებედას სააუზო უბნის ძირითად მდინარეთა ჩამონათვალში.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6440316

და წყაროანნი. აქა არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. 94 მეფე-მან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი. ხოლო კეჩუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა. აქა არს უდაბნო, კლდისა გამოკვეთილი, ეკლესია-სენაკნი, წმიდის დავით გარეჯელისა-გან ქმნული, და აწ ცარიელი. არს ტბა ორმოზანისა არა დიდი, და უთევზო. ხოლო დბანისამდე, მდინარის ამიერ ჲ იმიერ, მთასა შინა დაბნებიანი, და, ვითარცა ტაშირისა დავსწერეთ, ნაყოფიერი, და პირუტყითაცა ეგრეთი, არამედ სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი.

ხოლო დბანის ჩდილოთ უდის მაშაკერი, სამხრით ფინეზაური. და ეწოდა სახელი ესე დაბნებთ გამო „დაბანი ისი:“ აქ დასხნა ბოლა თურქ-მან ოსნი. მიერ ჟამით-გან იყო ციხე-ქალაქი (მის ჟამამდე არა კსენებული) 83 მეფის სვიმონამდე. და ამან წარუხვნა ოსმალთა, და მიერით მოოკრდა. არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილ-შვენიერი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტაშირისა და დბანის კევისა. ჰავით მშვენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი, უვენაკო, უხილო, შენობა-მრავალი, არამედ შემუსვრილი. არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა. აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირი-

მისასა და დააყრევინებს სმითა. აწ შეაშენეს ყაფლანიანთა *) ციხე; სიმაგრისა-თვის. ხოლო სამხრით ფინეზაურის კევი არს, მომდინარე ლოქის მთიდამ, ეგრეთითავე ნაყოფიერებითა ვითარცა ტაშირი და დბანის კეობა. დბანის ქვეით არს, ჩდილოთ კერძ, ხინწის-კევი. მას ქვეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სძილენძისა და ლაჟვარდისა. ამას ქვეით, სამხრიდამ, მაშავერს ერთვის ბალიჩის-კევი, ლოქიდამ გამომდინარე, არს ვენაკოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი. არამედ ლოქის კერძოდ ვითარცა დბანის-კევი. მას ქვეით ერთვის გეტის-კევი და ქვეშის-კევი. გამოსდის ლუკუნს, ერთვის ჩდილოდამ მაშავერს, ეგრეთითავე ნაყოფიერებითა. ქვეშის-ციხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თვალთათვის მშვენი, წყარო-კეთილი. მას ქვემოთ კეობა კაზრეთისა, სამხრიდამ მოერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთივე ვითარცა კეობა ბალიჩისა. ყორანთას არს ეკკლესია, სასვენი ატოცის წმიდისა გიორგის ჯვარისა. სატრედას, მაშავერ-ზედ, შენი არს კიდი ქვიტკირისა, შვიდ-თვალი, წყალ-დიდობისა-თვის. აქა არს ჭალა. ამას ზეით არს დის-ველის მინდორი, უწყლო, არამედ ნაყოფიერი, ქცია-მაშავერს შუა, და მოუცადი მარცვალთა, ბრინჯ-ბანბას გარდა. ხოლო აკაურთას და

*) ყაფლანიანნი ანუ ორბელიანნი.

ურიანი 95, 97, 131,
132, 134, 140.
141, 144.
უქანი 106.
უფლისციხე 126.
უწლევი 140.
შოლადაური 55.
ფინეზაური 60.
ფუნდუკი 63, 73.
ფოტრისი 120.
ფაწა 132.
ჭურდვაჭარის ხევი 51.
ქცია 55.
ქვა თეთრი 58
წითელი 58,
იამანისა 78,
შავი 135,
ლაჟვარდი 55.
ქვეშის ციხე 61.
ქვათა ხევი
ქსორი'ი 107.
ქურთაული 113.
ქვაბნი 115.
ქარჩოხი 116.
ქოლოთქვიტკირი 119.
ქნოლო 121.
ქართლი (ზემო) 123.
ქემერტი 133.
ქვენატყოცა 138.
ქვიშხეთი 141.
ღვინო 99, 112, 120.
ღართის კარი 106.
შაიყული 58.
ყვავილი 60.
ყორანთა 61
ყურყუთა 78.
ყარაია 82.
ყარაღაჯი 83.
ყინცვისი 97.
ყელი 113
ყანჩიეთი 117.
შულავერი 55.
შოლა 140.
შინდარა
შანბიანი 62.
შარვაშეთი 65.
შინდისი
ჩხიკუთი
ჩოხელთ ხევი 112.
ჩივი 114.
ჩანგილარი
ცხრაზმა 111, 119.
ცხრაწყარო 119.
ძველნი წიგნნი 53.
ძურძუკი 111.
ძაღინა 139.
წალკა 66
წოდორეთი 91.
წედისის მთა 95.
წოლდი 125.

ვახუშტი ბაგრატიონი
საქართველოს გეოგრაფია - 1997

დაბადების 300 წლისთავის საიუბილეო გამოცემა

თბილისი: „მეცნიერება“, 1997. მთავარი რედაქტორი - ზურაბ ტატაშიძე; პასუხისმგებელი რედაქტორები - დავით უკლება და კობა ხარაძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

გამოცემა მოიძებნა ეროვნული ბიბლიოთეკის „ივერიელში“. საიუბილეო სტატუსს ადასტურებს როგორც კატალოგი, ისე თვით წიგნის საწყისი გვერდი. ქვემოთ მოცემული გვერდების ნომრები უშუალოდ ჩამოტვირთულ სკანთან შედარდა.

ფინეზაურის ჩანაწერები

წიგნის გვ.	PDF-ის გვ.	შინაარსი
41-42	106-107	ვახუშტის ტექსტი: ფინეზაური და მისი ხევი
245	310	კომენტარი №81: დმანისი ორი მდინარის ხერთვისში
246	311	კომენტარი №83: ფინეზაურის ხევი / მოშევანი
353	418	სახელთა საძიებელი: ფინეზაურისხევი

რას ადასტურებს და რა რჩება გასარკვევი

გამოცემა ადასტურებს „ფინეზაურის“ ისტორიულ სახელწოდებას. თუმცა 246-ე გვერდის კომენტარი იმავე მდინარეს მოშევანადაც განსაზღვრავს და ფინეზაურის ხევის სახელით მოხსენიებასაც აღნიშნავს. შესაბამისად, „მოშევანი“ ამ გამოცემაში უკვე 1997 წელს გვხვდება. წიგნი სახელწოდების შეცვლის სამართლებრივ აქტს არ წარმოადგენს.

რეესტრისადმი მიმართვაში წყარო შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიული სახელწოდებისა და მდინარის იდენტობის დასასაბუთებლად. კვლავ გასარკვევია რუკაზე მოშევნის ასახვის სამართლებრივი და კარტოგრაფიული საფუძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა: dspace.nplg.gov.ge/handle/1234/601423
სრული ციფრული ასლი (PDF; კატალოგში: 142.49 MB)
დამატებითი ბიბლიოგრაფიული დასტური: ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ჩანაწერი 16309

გამოცემის შემოწმებული ამონარიდები

ამონარიდები აღებულია 1997 წლის გამოცემის ეროვნული ბიბლიოთეკის სკანიდან. გამოსახულებებში შენარჩუნებულია დედნის ტექსტი; ნაჩვენებია შესაბამისი ფრაგმენტები.

საიუბილეო გამოცემის აღნიშვნა (PDF-ის გვ. 8)



დაიბეჭდა ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით

მდინარის ისტორიული სახელწოდება (წიგნის გვ. 41)



ხოლო დბანისს[81] ულის ჩდილოთ მაშავერი, სამჭრით ფინეშაური. და ეწოდა სახელი ესე დაბნებთ გამო: „დაბანი

ხევის აღწერა და ლოქის მთა (წიგნის გვ. 41-42)



სათჳს. ხოლო სამჭრით ფინეშაურისჴევი[83] არს შომდინარე ლოქის მთიდამ ეგრეთითავე საყოფიერებითა. ვითარცა ტა-



შირი და დბანის ჴეობა.

კომენტარი №83 (წიგნის გვ. 246; PDF-ის გვ. 311)



83. ფინეზაურის ჴევი. ახლ. მდ. მოშეღანი (ახლაც ფინეზაურის ჴევად მოიხსენებენ). მდ. მაშავერის მარჯვენა შენაკადი (დმანისის რ.).

კომენტარი ერთ ჩანაწერში აკავშირებს ორივე სახელწოდებას. ამიტომ მისი სრული შინაარსი უნდა გავითვალისწინოთ მტკიცებულების შეფასებისას.

შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. თარიღდება XIX ს-ით (შმერლინგი ... 1960: 63).
წერილობით წყაროებში შემორჩენილია ცნობები დიღმის ციხის შესახებ. ციხე მდგარა მდ. მტკვრისა და დიღმისწყლის შესართავთან. ამჟამად აღარ არსებობს (გიულდენშტედტი 1962: 61).

ბიბლიოგრაფია: *აბრამიშვილი ... 1971: 166-169; აბრამიშვილი ... 1971ა :31-34; აბრამიშვილი ... 1973: 39-45; აბრამიშვილი ... 1974: 21-23; აბრამიშვილი, რამიშვილი 1975: 16-24; აბრამიშვილი რამიშვილი 1976: 27-32; აბრამიშვილი ... 1982ა: 13-24; აბრამიშვილი ... 1984: 31-35; აბრამიშვილი ... 1986: 17-20; აბრამიშვილი ... 1995: 55-62; ბაგრატიონი დავით 1941: 24 ბაგრატიონი 1983: 18, 19; ბაგრატიონი 1986: 40, 81; ბარნაველი 1959: 14, 15; 1962ა: 649-655; გვასალია 1983: 68, 97, 167; გიგუაშვილი 1977: 38-45; გიულდენშტედტი 1962: 61, 85; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 11, 183, 218; 1953: 115, 155, 166, 216; დოკ. თბ. ისტ. 1962: 182; ზაქარაია 1953ბ: 81-103; თბილისი 1978: 34-44; 86-158; თბილისის ისტორია 1990: 35, 38, 39, 45, 64, 94, 145, 220, 242, 335, 355; კილოსანიძე 1977: 46-54; მაკალათია 1928: 161-186; მარტვილობაი რაჟდენისი 1946: 243; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 75; მუსხელიშვილი 1967: 75; 1980: 138; ნიკოლაიშვილი 1978: 91-104; 1978ა: 63-76; ორბელიანი 1981: 200, 203, 221; პახომოვი 1954: 51; სძა 1990: 276, 277, 279, 280; საქ. არქ. 1992: 70, 197, 157, 158; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 141; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 161-163; საქ. სიძ. 1909: 23, 47, 65, 91, 95, 524, 530; 1910: 363; სიგელები ... 1902: 250; სონღულაშვილი 1985: 34-55; ტყეშელაშვილი 1966: 20, 21; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 204, 280, 317, 318; 1970: 176, 191, 259, 264, 322; 1972: 252, 433, 441, 543; 1974: 106, 644; 1985: 79, 80, 162, 506, 507, 571; ქართულ-სპარსული ... 1955: 3, 9, 40, 133, 134, 176; ქორიძე 1965: 19, 109; ქრონიკები 1897: 6, 195, 287, 310, 357, 371, 401, 408, 419; ქც 1: 21,9; 179,20; 326,4; 299,15; ქც 2: 368,3,5; 372,31; 373,19; 444,6; 527,4,7; 528,7,9; ქც 4:109,5; 157,18; 408,7; 412,18; 578,22; შმერლინგი ... 1960: 56, 57, 61, 63; ჩუბინაშვილი 1952: 441-447; ცხოვრება ... 1980: 44; ხერხეულიძე 1913: 297; 1981: 200, 203, 221; ჯალაღანია 1979: 92; ჯაფარიძე 1991: 14, 105, 107, 231, 240, 251.*

დმანისი, დბანისი, ქალაქი (ქც 4: 161,27; 222,29; 224,13; 241,6; 313,8; 315,2; 316,21; 386,26; 411,22; 414,20; 514,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ,,მატიანე ქართლისა'' (ქც 1:257,1; 312,11; 317,8), ,,ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი'' (ქც 1: 340,10; 344,11), ჯამთააღმწერელი (ქც 2: 251,11; 298,18; 310,18; 322,8,9,), ბერი ეგნატაშვილის ,,ახალი ქართლის ცხოვრების'' მესამე ტექსტი (ქც 2: 483,8; 530,22-23), ვახუშტი ბაგრატიონის ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' (ქც 4: 130,21; 161,28; 165,12; 222,29; 224,13; 241,6; 313,8; 315,25; 316,21; 386,26; 411,22; 414,20; 514,19; 517,3), წყალობის დაწერილი მიქაელ კათოლიკოსისა მსახურთუხუცეს ვაჩე გუარამისძისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 130), 1586 წ. შეწირულობის წიგნი მიცემული სვიმონ I-ის (1556-1600) მიერ დმანისის ეკლესიისადმი (ქართულ-სპარსული ... 1955: 24-32), 1636 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის (1632-1658) მიერ მოლარეთუხუცეს შიოშ ხმალაძისადმი (ქართულ-სპარსული ... 1955: 133, 134), 1662 წ. განჩინება ბარათაშვილების საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 121), 1732 წ. სახლი-კაცობისა და ერთობის წიგნი დიმიტრის ორბელიანისა ბიძაშვილისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1976: 706), 1758 წ. სამართალი თეიმურაზ II-ისა (1744-1762) ზაალ ყაფლანიშვილისა და დათის ამილახორიშვილის საქმეზე (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 55), 1766 წ. არზა, მიცემული ჰარხვერდიბეგის მიერ ერეკლე II-ისადმი (1744-1798) (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 63), 1793-1795 წწ. არზა ყაფლანიშვილებისა სამართლის მიცემაზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 929), პაპუნა ორბელიანის ,,ამბავნი ქართლისანი'' (ორბელიანი 1981: 13, 14, 19, 20, 43, 44, 66-69, 85-89, 95, 98, 112, 126, 132, 139, 220, 242), იოანე ბაგრატიონის ,,ქართლ-კახეთის აღწერა'' (ბაგრატიონი 1986: 53), თეიმურაზ ბაგრატიონის ,,ახალი ისტორია'' (ბაგრატიონი 1983: 74), სტეფანოს ტარონელის (ასოღიკი) ,,ისტორია'' (ასოღიკი 1864: 184), მათე ურჰაელის ,,ჟამთ აღწერილობა'' (ურჰაელი 1966: 247), კირაკოს განძაკეცის ,,ისტორია'' (განძაკელი 1946: 18), სტეფანოს ორბელიანის ,,ცხოვრება ორბელიანთა'' (ორბელიანი 1978: 40), ვარდან არევალცის (დიდი), ,,მსოფლიოს ისტორია'' (ვარდანი 1861: 147, 148), ალ-ფარიკის ,,მაიაფარიკინის ისტორია'', (ალ-ფარიკი 1942: 139-143), იაკუთის ლექსიკონი (იაკუთი 1964: 57), ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი (ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი 1942: 92), ისკანდერ მუნშის ცნობები (მუნში 1969: 63), ქათიბ ჩელების ცნობები (ჩელები 1978: 252), მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოს შესახებ (მუსტაფა ნაიმა 1979: 21), დონ ქრისტოფორო დე კასტელის ,,ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ'' (კასტელი 1976: 215), იოჰან გიულდენშტედტის ,,მოგზაურობა საქართველოში'' (გიულდენშტედტი 1964: 81).
ვახუშტი ბაგრატიონი დმანისის შესახებ გადმოგვცემს: ,,დბანისს უდის ჩდილოეთ მაშავერი, სამხრით ფინეზაური'' (ქც 4: 315,5).
მდებარეობს დმანისის მუნიც-ში, მდ. მაშავერასა და მდ. ფინეზაურის შესართავს შორის, მაღალ კონცხზე.
V-VIII სს-ში დმანისი მჭიდროდ დასახლებული პუნქტი იყო (მუსხელიშვილი 1938: 447; მესხია 1959: 35; ჭილაშვილი 1970: 111). 853 წ. ქალაქი ბუღა თურქმა აიღო (ქც 1: 257,1). 989 წ. დმანისი სომეხთა კვირიკიანმა მეფემ, დავით გურგენის ძემ დაიმორჩილა (ბერძენიშვილი 1979: 70). XI ს-ის 80-იანი წლებიდან ის სელჩუკების ხელშია. 1123 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) გაათავისუფლა და სამეფოდ დაიჭირა (ქც 1: 344,11). XII-XIII სს

ლეუსებიც. იარაღად გამოიყენებოდა ანატკეცები. დიდი ანატკეცების ნაპირებს მჭრელი დანების ფუნქცია შეეძლოთ შეესრულებინათ, პატარა ანატკეცებს – ჭრისა და ამოკვეთის. იშვიათია რეტუშირებული ანატკეცები. ქვის იარაღის დასამზადებლად ძირითად მასალად ადგილობრივი ტუფია გამოყენებული, თუმცა გვხვდება კვარცისა და კვარციტის თითო-ოროლა ნაწარმიც. ძეგლის ასაკი 1,87-1,67 მილიონი წელია (ნიორაძე, იუსტუსი 1998: 140-148; მგელაძე, ლორთქიფანიძე ... 2009: 422-425). დმანისი, განმარხებული ჰომინიდების ძვლებით, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვედა პალეოლითური ადგილსაპოვებელია, რომელიც მოიცავს 40-ზე მეტ მონაპოვარს. მათგან აღსანიშნავია 4 თავის ქალა (ლორთქიფანიძე, ჯაშაშვილი, ... 2007: 305-310). მოგვიანებით ჩატარებული კვლევების შედეგად დმანისის პალეოლითური ადგილსაპოვებელის სტრატიგრაფიაში გამოიყო ერთეულები, რომლებიც შედგებიან ვულკანური შემადგენლობის რამდენიმე ფენისაგან (მგელაძე, ლორთქიფანიძე ... 2009: 422-425), აქედან 1X (ჯაშაშვილი, პონსე დე ლეონი ... 2010: 705 715) ფენაშია აღმოჩენილი ადამიანის ნაშთები. დმანისის ადამიანი მიეკუთვნება ჰომო ერექტუსის სახეობას, რომელიც დაახლოებით 2,5 მილ.-750 000 წლის წინ ცხოვრობდა. ჰომო ერექტუსმა აფრიკა დაახლოებით 1,8 მილიონი წლის წინ დატოვა და აზიაში გავრცელდა. მათი სიმაღლე არ აღემატებოდა 166 სმ. ხოლო წონა 50 კილოგრამს. დმანისელი ჰომინიდები ორ ფეხზე თავისუფლად გადაადგილდებოდნენ (პოზნერი, კემბელი ... 2010: 492-504).

სოფ. პატარა დმანისის ტერიტორიაზე, დაზვერვებისას, ნახნავებში აღმოჩენილია ნუკლეუსი და ორი ანატკეცი, რომლებიც აშელის ეპოქას მიეკუთვნება, ხოლო დმანისის ნაქალაქარის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირის პლატოზე, სოფ. ვარდისუბნის სახნავ მიწაზე ნაპოვნია მუსტიეს ხანის ორი ანატკეცი (ბუგიანიშვილი 1998: 119-120).

დმანისის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში მიკვლეულია ბრინჯაოს ხანის ძეგლები: გარეუბნის სამაროვანზე, შუა საუკუნეების სამარხების ქვეშ გამოვლენილია ადრე და შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე (ჯაფარიძე, კოპალიანი ... 1997: 132) და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები (ჯაფარიძე, კოპალიანი 1991: 108). ქალაქის შიდაციხეზე აღმოჩენილია ამავე პერიოდის სამეურნეო ორმოები (ჯაფარიძე, კოპალიანი ... 1991: 104) და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის შემცველი 1,3 მ სიმძლავრის ფენა (კოპალიანი 1996: 59). ნაქალაქარიდან 2 კმ-ში, მდ. მაშავერას მარცხენა კალთაში გამოკვეთილი ქვაბების კომპლექსში აკრეფილია ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა (ბახტაძე 1992: 100).

დმანისის ნაქალაქარის მახლობლად, სოფ. განთიადში, სოფ. აბულმუგში (იხ. აბულმუგი) და სოფ. ვარდისუბანში, ადგილ ღრმახევისთავში აღმოჩნდა ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ხანის ძეგლები: ღრმახევისთავში შესწავლილია ე. წ. მტკვარ-არაქსული კულტურის ნასახლარი, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანებიდან ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედამდე ფუნქციონირებდა. აქვე აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის 4 ღარიბული ორმოსამარხი (აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: 11-17). სოფ. განთიადის მახლობლად, ადგილ ორწყლებზე შესწავლილია მტკვარ-არაქსის კულტურის ერთფენიანი ნასახლარი. მოპოვებული კერამიკა და ობსიდიანის ისრისპირები ძეგლს ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს (კახიანი ... 1991: 55). ამავე ტერიტორიაზეა შესწავლილი ყორღანული ველი. ყორღანთა უმრავლესობა შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება, ერთი – გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით (კახიანი ... 1991: 58). სოფ. განთიადის მახლობლად შესწავლილია ორი სამაროვანი – განთიადი I და განთიადი II. განთიადი I-ზე გაითხარა სხვადასხვა პერიოდის ორასზე მეტი სამარხი. უძველესია სამაროვნის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ძვ. წ. XV-XIV სს-ით თარიღდება. დანარჩენ ტერიტორიაზე მიკვლეულ სამარხთა დიდი ნაწილი ძვ. წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევრით თარიღდება, ხოლო სამაროვნის გვიანდელ ქრონოლოგიურ ზღვარს ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. VI ს-ის სამარხები განსაზღვრავენ (კახიანი ... 1991: 55). განთიადი II-ზე მიკვლეული სამარხები გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპს, კერძოდ, ძვ. წ. XV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. XIV ს-ს მიეკუთვნება (კახიანი ... 1991: 54). ადგილ ღრმახევისთავში აღმოჩენილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი. იქ ყველაზე ადრეულია №95 სამარხი, რომელიც ძვ. წ. XIV-XIII სს-ით თარიღდება. შემდგომი პერიოდის სამარხები ძვ. წ. XIII-XII სს-საა. რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებიდან ყველაზე ადრეულია №№24 და 38 სამარხები, რომლებიც ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. 45 სამარხი ძვ. წ. VII ს-ის ბოლო ხანებითა და ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება. აქემენიდური ხანის სამარხები 43-ია (აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: 17-23), თუმცა რამდენიმე მათგანი შესაძლებელია პოსტაქემენიდურ და ადრეელინისტურ ხანასაც ეკუთვნოდეს.

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი შედგება შიდა ციხის, უშუალოდ ქალაქის, გარეუბნებისა და სამაროვნებისაგან. ნაქალაქარი კარგადაა დაცული მდ. ფინეზაურისა და მდ. მაშავერას ღრმა ხეობებით. ქალაქს (ფართობი 13 ჰა) გარს ერტყა ბაზალტის ქვით ნაგები მაღალი გალავანი, რომელიც ალაგ-ალაგ კონტრფორსებით იყო გამაგრებული. მისი ერთადერთი მისადგომი სამხრეთ-დასავლეთიდან არსებული ჭიშკარი იყო (ჯაფარიძე 1966: 32).



ზეზვა და მზია

დმანისის შიდა ციხე მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და გალავნითაა გამოყო-

ქციის ხეობაში უვენახ-უხილო არე სამშვილდითგანვე იწყებოდა, დბანისის ხეობაში დბანისთგან მოყოლებული სათავემდე, სკვირეთის, ანუ ვერეს ხეობაში ვანათს ზევით მდებარე ნაწილი სათავემდე, კლდეისისა და ძველი გომარეთის ხეობანი მთლიანად, ირაგას ხეობა ტორნითურთ ბესდერისაკენ, ჭივჭავის ხეობის ზედა ნაწილი, ფინეზაურის ხეობა, ბალიჭის ხეობა აბულმუგს ზევით და ზურტაკეტის ხეობა მთლიანად".

„შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყნის უვენახ-ხილობის ზოლის საზღვრის დასაწყისი ხაზი იყო თეძმის ხეობაში რკონს ზევით, მთელი ჭვარები და თრიალეთი, ტანის ხეობა ბობნავს ზევით ძამის ხეობა გვეძინეთს ზევით...

მესხეთის უდიდესი ნაწილიც უვენახ-ხილო არეს წარმოადგენს. სადგერის ხეობა, თორ-გუჯარეთის ხეობა, შაორი, თავკვეთილი, კევღრმა, ტაბისყური და ირჯანის, ანუ ყარაღაჯისა ისევე, როგორც სამცხის, ანუ ღადოს მთები მთლიანად უვენახ-ხილო არე იყო...

დასავლეთ საქართველოში უვენახ-ხილო არე, ბუნებრივი პირობებისა და ჰავის გამო, გაცილებით უფრო ნაკლებ იყო, ვიდრე ამერეთში. აქ უვენახ-ხილო ზოლს ეკუთვნოდა უმთავრესად ღადოსა და გურიის მთების ზედა, ტყიანი ხაზი და რაჭაში შქმერი, ჯეჯორის ხეობა კუდაროს ზევით, რიონის ხეობა ჭიდროთას ზევით და მთიანი ადგილები, დასასრულ, რასაკვირველია, სვანეთიც მთლიანად".



ბალახ-ყვავილოვანი ბოტანიკურ-აგრონომიული არე გადაჭიმულია კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მაღალმთიან ზოლში.

„უტყეო და ბაალხიან-ყვავილიან სივრცეს ჯავახეთი, ფოსო, ერუშეთი, არტაანი და კოლა წარმოადგენდნენ...

ასეთივე თვისებისა იყო ოლთისის ხეობა ნარუმაკს ზევით, ტაოს მაღლობები, იდი და ნარუმაკი, ბასიანი, თორთომის ხეობა ხახულს ზევით. აქ მთური ზოლი იყო და მთური კულტურა ხარობდა მხოლოდ. ბალახ-ყვავილიანობის წყალობით აქ ვცრელი და საუცხოვო საზაფხულო საძოვრები იყო".

„ხეობის დაღარულობისა და ვრცელი ველობების უქონლობის გამო ლიხთ-იმერეთის უტყეო და ბალახიან-ყვავილიანი ხაზი არც საზაფხულოს საძოვრებად იყო სათანადოდ ფართოდ გამოსადეგი. ამ არეს მხოლოდ ადგილობრივი მესაქონლეობის დაკმაყოფილება შეეძლო".

ზამთრის საძოვრების ბოტანიკურ-აგრონომიული არე ტფილისითგან ბარდავამდე და ივრის სანაპიროებზე ზამთრის საძოვრების არე იყო ისევე, როგორც გარეჯის მთებსა და უდაბნოს მიდამოებში. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა, სარწყავი რუს გამოყვანამდე, სამგორის ველსა და ჩადივარსაც, რათგან უწყლობის გამო უმთავრესად თავისი ბალახოვნობის მხრით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული".



„საქონლის გამოსაკვებად განკუთვნილ მიწას „საძოვარი" ერქვა.. როგორც ამ ადგილითგანაც ჩანს, საძოვრად ჩვეულებრივ მხოლოდ კორდ-გაუტეხელი მიწა იხმარებოდა...

საძოვარს გარდა, ტერმინი "სასაძოვრეც" არსებობდა...

„..საძოვარი" ისეთ ადგილს ეწოდებოდა, რომელსაც საქონელი ჩვეულებრივ სძოვდა, „სასაძოვრე" კი ისეთ ადგილს ჰნიშნავდა, რომელიც საძოვრად გამოდგებოდა, ან საძოვრად ქცევა შეიძლებოდა. ეს ტერმინი ისევეა ნაწარმოები, როგორც საყანე, სახნავი, სავენახე"...

გარემოსდაცვითი კვლევის შესაბამისი ფრაგმენტი

REC Caucasus. საქართველოს საზღვრებში მდინარეების ხრამის, დებედას, ალაზნის და იორის აუზების სამიზნე ტერიტორიების ნიადაგების დეგრადაციის დინამიკის და ტენდენციის ანალიზი. საბოლოო ანგარიში. ოქტომბერი, 2009.

გამოცემის და PDF-ის გვერდი 19, ნაწილი 2.1.5 - ჰიდროგრაფიული ქსელი. კვლევა ფინეზაურს მოიხსენიებს დმანისის მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში მაშავერის შენაკადების ჩამონათვალში.

ყარაბულახი, ჭოჭიანი, ჯუჯიანი, ხოლო სამხრეთ ნაწილში – მდ. მაშავერა და მისი შენაკადები – ფინეზაური, შახმარლო და სხვა. მუნიციპალიტეტის ყველა მდინარე

სრული კვლევა: https://eiec.gov.ge/g/Documents/ViewFile/1558

მდინარე ფინეზაური და ფინეზაურის ხევი

სახელწოდება ფინეზაური გვხვდება სხვადასხვა ისტორიულ წყაროში. მათგან განსაკთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

მდინარე ფინეზაური მოხსენიებული და აღნიშნულია XVIII საუკუნის გეოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომებში მათ შორის 1745 წელს შედგენილ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (თ. ლომურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით), თბილისი 1941, გვ. 38.

ვახუშტის მიხედვით მდ. ფინეზაური დბანისს (დმანისის ნაქალაქარი, სოფ. პატრა დმანისთან) როგორც მდ. მაშავერას მარჯვენა შენაკადი ჩამოუდის სამხრეთიდან:

„ხოლო დ ბ ა ნ ი ს ს უდის ჩდილოთ მაშავერი, სამჴრით ფინეზაური, და ეწოდა სახელი ესე დაბანებო გამო: „დაბანი ისი“.

მდ. ფინეზაური აღნიშნული ვახუშტისვე საქართველოს ატლასში:



სურ. 1. ქვემო ქართლის რუკა. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). თბილისი, 1997. გვ. 86-87.



სურ. 2. ქვემო ქართლის რუკა. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). თბილისი, 1997. გვ. 86-87. დმანისის მხარე. მდ. ფინეზაურის ხეობა - მდ. მაშავერას მარჯვენა შენაკადი. რუკის ამონარიდ ნაწილზე ჩანს ძველი დმანისი - „დბანისი“ (დღევანდელი დმანისის ნაქალაქარი) და მის სამხრეთიდან ლოქის ქედიდან, ადგილ გუგუთიდან მომავალი მდინარე ფინეზაური.

ფინეზაურის ხეობის სოფლებისა და ნასოფლარების ჩამონათვალი იასე ლორთქიფანიძეის მიხედვით - იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. I-II, თბილისი 1935 წ. გვ. 56.

1. გორიწყუკი (თანამ. მაშავერა)
2. ჩინჩხური (ნასოფლარი პატარა დმანითან)
3. სიქიშიახი (ნასოფლარი საფარლოსთან)
4. ლაკლაკაშენი (თანამედროვე საფარლო)
5. ანგრევანი
6. ვარძაგარა (ნანამედროვე ამამლო)
7. მოლამასხუდი

8. თაგუთი 2 (ზემო და ქვემო თაგუთი - თანამ. მამიშლო)
9. ფარანსჯუკი
10. მუტავისი
11. სუგეჩანი
12. თარაკაშენი
13. შმბუნი (მუნბუნი)
14. გუგუთი
15. ლორაშენი
16. აცუტი
17. დარბაზი
18. ჭანდარიკი (ჯანდარიკი)
19. ხული
20. აღუმბრუ
21. გელდიგილანი
22. სოფელი ღამიში 2
23. წაკეგელეცი (კოტრაღაგელცი)

მდინარე ფინეზაური აღნიშნულია 1927 წელს გამოცემულ თბილისის მაზრის ადმინისტაციულ რუკაზე.



სურ. 1. 1927 წელს გამოცემულ თბილისის მაზრის ადმინისტაციულ რუკა.



სურ. 2. 1927 წელს გამოცემულ თბილისის მაზრის ადმინისტაციულ რუკა. მდ. ფინეზაური

ჯიმშერ ჩხვიმიანი, არქეოლოგიის დოქტორი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი

29.10.2026



1893-98,1908 წწ.გადაღების, 1943 წ. პირველი გამოცემის
1:100 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი.



1956 წ.გამოცემის 1:25 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი



1950-55 წწ.გადაღების, 1956 წ. მეორე გამოცემის
1:100 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი.



1969 წ.გადაღების,1972 წ.გამოცემის
1:10 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი



1973 წ. განახლების,1975 წ. გამოცემის
1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი



1973 წ.განახლების, 1976 წ. გამოცემის
1:100 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი.